საქართველოს მთავრობის

დადგენილება №558

2022 წლის 9 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის №112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის №112 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2019, 240110000.10.003.021127) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2028 წლის 1 იანვრიდან.“.

2. მე-3 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უზრუნველყოს გადავადებული ნორმის ამოქმედებისთვის საჭირო ღონისძიებების გეგმის დამტკიცება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით 2023 წლის 1 ივნისამდე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**